

URL: <http://urakparaki.com/?m=4&ID=57631>

ავტორი: ნინო ღარბაისელი

ჟანრი: პროზა

გამოქვეყნების დრო: 2012-02-13 09:44:12

ჩემი „ნათლობა,,

(ციკლიდან: მოგონებათა ნამცერევი)

საქართველოში კაფის დიდი ლომი პაპა ლექსო ჭინჭარაულია, იგივე ლეკოთ წიქა.

პაგარა ლომი - გრისგან მახაურია, მე - იმის გაწვრთნილი კატა.

(არ გეგონოთ, საბასეული ლომ-კატის როლები ავურიე, ჩვენს შემთხვევაში, მართლა, პირიქით იყო).

კურსელები ვიყავით და რაც ძალი და ღონე გვქონდა, ლექციებზე ვკაფობდით. მერე ფშავში, თავის სოფელ გომეწარშიც დაგვაპატიჟა მეგობრები და კაფიობაში საზაფხულო პრაქტიკა იქ გავიარე.

ჩამოვედი და ცოტა ხანში ლექსოს რძალიც გავხდი.

პირველი შეგონება, რაც ჩემი დედამთილისგან - „ნინო დედასგან" მივიღე, ასეთი იყო: „საცა შეხვალ, იქაური ქული დაიხურეო".

ხევსურულ ქულზე კი სულ ჯვარედინად იყო ამოქარგული მკაცრი წესები: ქალმა თავისი ქმრის სახელი ხალხში არ უნდა ახსენოს, „მენა!" უნდა დაუძახოს, მამამთილს არ დაელაპარაკოს, იმის სკამზე არამც და არამც, არ დაჯდეს, ხალხში მოცინარი პირი არ უნდა გამოაჩინოს, „სირცხვილ ას!"...მოკლედ, მთელი ძველი კოლექსი, რომელსაც თავად სიკვდილამდე განუხრელად იცავდა.

აუღებელი სუფრა გვედგა. ვახუშტის თამალობით, მისა ჭინჭარაულისა და ნანული ამიკურის ფანდურზე ნამღერით, ლელა თათარაიდის გარმონით...

ხინკალი ბარაქიანია. თუ არაყიც არ გაკლია, სამი კილო ხორციით მთელ ფშავ-ხევსურეთს, თუშეთიანად დააპურებ.მედაც თუ ხევსურულ ერბოში ჩაყიპიპებულ კეცეულებსა და მხლოვნებს აშველებ ხო, „ნიაღე", მთელ ქვეყანას გააძღობ...

ღიასახლისი, ჰა-და ჰა, როცა სადღეგრძელებლად დაუძახებენ ან ხინკალი აქვს შესაგანი, მამის გამოჩნდება სგუმრებთან. სუფრაზე დაჯდომა ხო - „წეს არ ასა", სირცხვილია!

ჰოდა, ვხინკაობთ და მე, როგორც ახალი პაგარძალი, ვახვევ და ვახვევ წვრილ-წვრილნაოჭა ხინკლებს, რომ მულებს გოლი არ დაველო, თან დროდადრო ჩუმად „საქუჩებელს" გადავკრავთ. (ჟიპიგაურს ან არაყს ასე ეძახიან ხევსურთ ქალები).

„ამაჰყრიან" თუ არა ხინკლებს, დიდი, ქაფქაფა „ბლუდით" მივარბენინებ ჯერ თამაღისკენ...

- ო-ჰა-ჰა-ჰა, რა ხინკალია, წიქავ, რა ხინკალი! - იძახიან სგუმრები.

პაპა ლექსო ღიმილით, ვითომ ურწმუნოდ იქნევს თავს, ჩემკენ ანიშნებს:

- ეე-ჰ, რაღა ხინკალი, შიგ ყველა ხელს ურევს!

- რა დრო დაგიდგათ ხევსურებს!

ხინკალში ყველა ხელს ურევს... - ვაგებებ დაუფიქრებლად.

- მოდი აქა! - მეძახის მოხარხარე ძია ვახუშტი და შუბლზე მკოცნის - ჰა, წიქავ, როგორი მოკაფიავე გამოგადგა კახის ქალი!

(ხევსურები ყველა არახევსურს „კახს" ეძახიან).

მე სახეზე ცეცხლი მიკიდა. გამოვდივარ და ხინკალიც კი აღარ შემაქვს სგუმრებთან. ხუმრობა საქმე ხომ არ არის. ნათლობა კი მივიღე, მაგრამ თბილისის „ხრუშოვკაში" დაბუღებული შაგილის წესი დავარღვიე, საჯაროდ მამამთილს არათუ ხმა გავეცი, ლექსობაც გაუუბედე!

სადაც მიველ, იქაური ქულის დახურვა კი ვცადე, მაგრამ ეგყობა, ამ კახელ თავზე თავიდანვე მომიჭირა.

პაპა ლექსოსა და ძია ვახუშტის კაფიებით პაექრობის მომსწრე არაერთხელ ვყოფილვარ.

---

ჩვენი ოჯახის უცვლელი თამადა იყო.

თავიდან ძიას ვეძახდი, მაგრამ ჩემზე ბევრად ახალგაზრდა , უმშვენიერესი და უსაყვარლესი მზეო რომ მოიყვანა ცოლად, საქმე მაშინ გამიჭირდა..„ბაგონო ვახუშტის" ვერ დავეუძახებდი, არაბუნებრივი გამოძვივლოდა ეს დისტანცირება, ვახუშტისაც ვერ ვუწოდებდი - მეგისმეტ ფამილარობად მეჩვენებოდა...

მერე თანდათან მივეჩვიე. ეს ლექსი კი გამოვუთქვი და საქალებოში ჩუმალ ვიცინოლით:

ვახუშტიმ რო ცოლ შაირთო,  
ყველას მისაბაძიაო,  
ტანათ ფარჩა შაუკერა,  
განა ჩვენებრ ძაძიაო.  
შვილის კბილა ქალას უდგას.  
ვინ ძიაო, რა ძიაო!  
ვახო უნდა დავუძახო,  
„ხვატიგ, ბოგა რაძიაო!"

ვაჰ,დრონი,დრონი...